საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№9 პერიოდული გამოცემა 2016 წ. სექტემბერი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

სექტემბერში გაწეული საქმიანობის შესახებ პირველი, რაზეც მინდა ვისაუბრო წინასაარჩევნო პერიოდისთვის მზადებაა. წინასაარჩევნო კამპანიების პერიპეტიებმა ნათლად აჩვენა სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობის მნიშვნელობა საარჩევნო პროცესებში.

აგვისტოში დაწყებული პროექტის „ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების მონიტორინგი საარჩევნო პერიოდში" ფარგლებში, სექტემბერში ჩვენს 8 რეგიონულ ოფისში რეაგირების 26 ჯგუფი ამუშავდა, დაინიშნა 8 სასამართლო მონიტორი და ამდენივე კოორდინატორი, რომლებიც სრული დატვირთვით მუშაობენ და სწავლობენ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს, ცხელ ხაზზე, მედია საშუალებებით ან სხვა ნებისმიერი გზით მიღებული შეტყობინებისთანავე ახდენენ რეაგირებას, ადგილზე ამოწმებენ ინფორმაციას და იწყებენ საქმის

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები 3
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 5
4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 6
   სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები 9
5. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა 11
6. წარმატებული საქმეები 12
7. მნიშვნელოვანი თარიღები 13
8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 13
9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 14

წარმოებას; ასევე, შეისწავლიან საარჩევნო დავების მიმდინარეობას სასამართლოში.

წინასაარჩევნო პროცესების მონიტორინგის ფარგლებში მე და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრები სახელმწიფო უწყებების, ცენტრალური საარჩევნო კომისიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შევხვდით. შეხვედრაზე **საარჩევნო-პოლიტიკურ პროცესებში ეროვნული უმცირესობების ჩართულობის** საკითხები, ამ მიმართულებით სახელმწიფოს ხედვა და არსებული მდგომარეობა განვიხილეთ;

ვისაუბრეთ სტერეოტიპებისა და დამოკიდებულებების შეცვლის აუცილებლობაზე, ქვეყანაში არსებული გენდერული უთანასწორობის ფონზე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა ჩართულობის ორმაგ სირთულეებზე და ბოლო პერიოდის პოზიტიურ ძვრებზე.

ჩვენი საჯარო დებატებიც – „არჩევნები და ინკლუზიური საარჩევნო გარემო“, არჩევნებს მივუძღვენით. მოკლედ მიმოვიხილე ზოგადი პოლიტიკური კულტურა არჩევნებთან მიმართებით, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების თანაბარ მონაწილეობასთან დაკავშირებული გამოწვევები. აღვნიშნე, რომ კვლავ პრობლემას წარმოადგენს ინკლუზიური საარჩევნო გარემოს პრაქტიკაში განხორციელება, ადაპტირებული ტრანსპორტის არარსებობა და ადაპტირებული საარჩევნო უბნების სიმცირე მნიშვნელოვნად აბრკოლებს შშმ პირთა საარჩევნო უფლებით სრულყოფილად სარგებლობას.

მინიმალურია პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა რაოდენობა. სამწუხაროა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა კვლავ არ გაითვალისწინეს ქალთა ჩართულობის მნიშვნელობა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად სიტუაციის გაუმჯობესების პერსპექტივა ნაკლებია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სავალდებულო გენდერული კვოტის აუცილებლობასა და მნიშვნელობას.

სექტემბერში **ასაკის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით** სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაც მივაწოდეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსაზრებაში წარმოვადგინეთ შრომით წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში სავარაუდო დისკრიმინაციის გამოვლენის ტესტი, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესი, ასევე, ავსახეთ ასაკის ნიშნით განსხვავებული მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებული საერთაშორისო ინსტიტუტების პრაქტიკა და განსხვავება ისეთ შემთხვევებს შორის, როდესაც ასეთი მოპყრობა, ერთი მხრივ, გამართლებულია, მეორე მხრივ, კი დისკრიმინაციას წარმოადგენს.

ზუგდიდში ადგილობრივ ხელისუფლებას, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სამეგრელოსა და აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მდგომარეობასა და უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალური ანგარიში წარვუდგინე; ასევე, სპეციალური რეკომენდაციებით მივმართე შესაბამის სტრუქტურებს სოფელების ხურჩის ფახულანისა და წყოუშის კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დასაცავად და გამყოფი ხაზის სოფლების სოციალური ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად.

სექტემბერში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორის ნიკა გვარამიასა და პოლიტიკოს პაატა ბურჭულაძის სატელეფონო საუბრის **ფარული ჩანაწერი** გავრცელდა. ასეთი შემთხვევები მძიმედ აღიქმება წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჯანსაღი მედიაგარემო და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების განმაპირობებელი ფაქტორები.

სამწუხაროა, რომ **წინა შემთხვევების** დაუსჯელად დატოვება ახალისებს ყოველ მომდევნო ინციდენტს. კვლავ არ არის გამოვლენილი და დასჯილი ყველა ის პირი, რომელსაც ბრალი მიუძღვის აღნიშნულ დანაშაულში.

კიდევ ერთხელ და კვლავ დაჟინებით მოვითხოვ, რომ საგამოძიებო ორგანოებმა დაუყოვნებლივ გამოიძიონ ფარული ჩანაწერების უკანონო წარმოებისა თუ გავრცელების ყველა შემთხვევა და საზოგადოებას დროულად აცნობონ გამოძიების შედეგები და მიღებული ზომების შესახებ.

სექტემბერიც ჩვეულებისამებრ დატვირთული თვე იყო, ვამზადებდით და ვაგზავნიდით რეკომენდაციებს, ვმართავდით საინფორმაციო შეხვედრებს და საგანმანათლებლო ტრენინგებს, ვამოწმებდით დახურულ ინსტიტუციებს და ვესაუბრებოდით იქ მყოფ ბენეფიციარებს თუ თანამშრომლებს. ყველაფერი ამის შესახებ შეგიძლიათ ქვემოთ მოცემულ ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენში შეიტყოთ.

2. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები

2.1. სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შეხვედრას დაესწრო

13-14 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ბრიუსელში, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული საკოორდინაციო კომიტეტის და ფინანსური კომიტეტის შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა.

შეხვედრაზე განიხილეს მიღწეული პროგრესი და ინიციატივები, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) აქტივობებისა და გავლენების გაზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში; იმსჯელეს სამუშაო ჯგუფების პოლიტიკის საკითხებზე, ასევე, განიხილეს ENNHRI–ის სტრატეგიული გეგმები.

2015 წლის 1 დეკემბერს ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის ბიუროს სრულუფლებიან წევრად აირჩიეს. ასევე ზედიზედ მეორედ, სამი წლის ვადით აირჩიეს ევროპული ქსელის საკოორდინაციო კომიტეტის წევრად, რომელიც ადმინისტრაციულ და მმართველობით საკითხებზეა პასუხისმგებელი; 2016 წლის მარტიდან კი საქართველოს სახალხო დამცველი კომიტეტის საბჭოში ევროპის რეგიონის წარმომადგენელი სამი წლით გახდა.

2.2. საქართველოს სახალხო დამცველი თომას ჰამერბერგს შეხვდა

16 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში დამოუკიდებელ ექსპერტთან თომას ჰამერბერგთან გამართულ შეხვედრაზე ოკუპირებულ და გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული გამოწვევები, ასევე ქართველი და აფხაზი უფლებადაცვითი ინსტიტუტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა რეგულარული შეხვედრები განიხილა, რომლებიც სახალხო დამცველის ინიციატივით 2014 წლიდან ევროპის საბჭოს მხარდაჭერით იმართება.

სახალხო დამცველმა ექსპერტს გალში ქართული ენის სწავლების აკრძალვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და ამ თემაზე მომზადებული **სპეციალური ანგარიში** გააცნო; განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს 19 მაისს, სოფელ ხურჩაში მომხდარი მკვლელობის დროული გამოძიების და მსგავსი ინციდენტების აღკვეთის მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე.

თომას ჰამერბერგის მისია ჰუმანიტარულ მიზნებს ემსახურება და ევროკავშირის არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება.

2.3. სახალხო დამცველი იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების საკითხებში გაეროს სპეციალურ მომხსენებელს შეხვდა

26 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებელს ჩალოკა ბეიანის შეხვდა და ინფორმაცია მიაწოდა საქართველოში დევნილთა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. განიხილეს დევნილთა განსახლების პროცედურები და რეკომენდაციები, რომლებიც სახალხო დამცველმა დევნილთა საჭიროებების უზრუნველსაყოფად მთავრობას წარუდგინა.

მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯებისა, რომლებიც დევნილთა გრძელვადიანი დაკმაყოფილების მიზნით მიმდინარეობს, დღემდე არაერთი პრობლემა რჩება მოუგვარებელი, აღნიშნული კი სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მხრიდან დიდ ძალისხმევას და აქტიურ მუშაობას მოითხოვს; ამ მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაიწყოს მუშაობა დევნილთა შესახებ კანონის დახვეწაზე, რათა მოხდეს ე.წ. „საჭიროებებზე მორგებულ მიდგომაზე“ გადასვლა.

სახალხო დამცველმა ასევე, ისაუბრა ეკომიგრანტების უფლებრივ მდგომარეობაზე საქართველოში და იმ ძირითად პრობლემებზე, რაც ამ სფეროში არსებობს. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ეკომიგრანტები არ ითვლებიან იძულებით გადაადგილებულ პირებად და მათზე არ ვრცელდება დევნილთა სფეროში არსებული კანონმდებლობა, ასევე არ არსებობს ეკომიგრანტთა სტატუსი საკანონმდებლო დონეზე.

2.4. შეხვედრა ევროს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის მისიის ხელმძღვანელთან

26 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ევროს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის მისიის ხელმძღვანელს, ელჩ ალექსანდრე კელჩევსკის შეხვდა.

სახალხო დამცველმა ისაუბრა აპარატის საქმიანობაზე და ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე ქვეყანაში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა წინასაარჩევნო პერიოდში შეკრების და გაერთიანების თავისუფლების, გამოხატვის თავისუფლების, საარჩევნო უფლების რეალიზებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შეხვედრაზე საქართველოს სახალხო დამცველმა სტუმარს საარჩევნო პერიოდში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების მონიტორინგის პროექტი გააცნო, რომლის მიხედვით სახალხო დამცველის აპარატის 8 რეგიონულ ოფისში უკვე ამოქმედდა რეაგირების 26 ჯგუფი, მათ შორის 8 სასამართლო მონიტორი და 8 რეგიონული კოორდინატორი.

2.5. სახალხო დამცველი საფრანგეთის ელჩს საქართველოში პასკალ მენიეს შეხვდა

29 სექტემბერს სახალხო დამცველმა საფრანგეთის რესპუბლიკის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩს საქართველოში პასკალ მენიესთან შეხვედრაზე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, სასამართლოს და სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმაზე, წინასაარჩევნო გარემოზე, გენდერული თანასწორობასა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თვალსაზრისით არსებულ ვითარებაზე, ასევე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისა და შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობა ისაუბრა. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს და გალის რაიონში განათლების უფლების შეზღუდვას.

ელჩმა ომბუდსმენის აპარატისადმი სრული მხარდაჭერის და თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა საკითხებზე.

2.6. დანიის საპარლამენტო ომბუდსმენის გამოცდილების გაზიარება თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვის საკითხებში

27–29 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ ნათია კაციტაძემ და სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა თამთა პაპუაშვილმა და ბექა ჯავახაძემ დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა საკითხებზე შეხვედრები გამართეს.

საქართველოს დელეგაცია გაეცნო დანიის საპარლამენტო ომბუდსმენის საერთაშორისო და ნაციონალური პრევენციის მექანიზმის საქმიანობას, ასევე საპარლამენტო ომბუდსმენის მანდატს; შეხვდნენ დანიის მიგრაციის სამსახურის წარმომადგენლებს, მოინახულეს თავშესაფრის მაძიებელთა განთავსების ცენტრები, გაეცნენ გასულ წლებში დიდი რაოდენობით მიგრანტთა, მათ შორის თავშესაფრის მაძიებელთა ნაკადის მიღების პირობებში, დანიის სახელმწიფო სტრუქტურებში განხორციელებულ ცვლილებებს.

ვიზიტი „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტა-

ტუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობის შესწავლაში“ პროექტის ფარგლებში, სამხრეთ კავკასიაში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

2.7. საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე თანასწორობის სტრუქტურების ევროპული ქსელის შეხვედრას დაესწრო

29-30 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე ეკატერინე სხილაძე ბრიუსელში გამართულ თანასწორობის სტრუქტურების ევროპული ქსელის (EQUINET) წლიურ გენერალურ შეხვედრას დაესწრო. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თანასწორობის სტრუქტურების ინსტიტუციური მოწყობის საკითხს, განიხილეს მათი დამოუკიდებელი ფუნქციონირებისა და ეროვნულ უფლებადაცვით მექანიზმებთან ინტეგრაციის შემთხვევებში არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეები. საუბარი შეეხო თანასწორობის სტრუქტურების წინაშე მდგარ გამოწვევებს, შესაძლებლობების გაძლიერებას და სხვადასხვა უფლებადაცვით ინსტიტუტებთან პარტნიორობას.

ეკატერინე სხილაძემ ისაუბრა საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და გამოწვევებზე. კერძოდ, საკანონმდებლო სივრცის დახვეწის საჭიროებაზე, საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის მნიშვნელობაზე და სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის რესურსზე. ასევე, საუბარი შეეხო იმ პრინციპებს და სტანდარტებს, რომლებსაც სახალხო დამცველი დისკრიმინაციის აღმოფხვრის და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მუშაობისას იყენებს.

3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

3.1. წინადადება მსჯავრდებულის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით

8 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის გ.ბ.–ს მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

მსჯავრდებულმა გ.ბ.–მ სახალხო დამცველის რწმუნებულებთან განაცხადა, რომ დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელმა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსჯავრდებულ გ.ბ.–ს სხეულზე აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები, თუმცა დაწესებულების ექიმმა მსჯავრდებული დაწესებულების საგამოძიებო ოთახში დაათვალიერა და დაზიანებები აღწერა მხოლოდ 7 სექტემბერს, სახალხო დამცველის რწმუნებულების მოთხოვნის შემდეგ.

3.2. რეკომენდაცია დევნილის უფლების დარღვევის ფაქტზე

9 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილის უფლებების დარღვევის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა.

ბ.ჩ.-ს ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში 4 თვის განმავლობაში არ ერიცხებოდა დევნილთა შემწეობა. აღნიშნულის საფუძვლად, სამინისტრომ განმცხადებლის მიერ დევნილთა სავალდებულო რეგისტრაციის გაუვლელობა დაასახელა. თუმცა, როგორც შესწავლილი მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ბ.ჩ.–მ სამინისტროს წერილობით აცნობა თავისი ადგილსამყოფელი და დევნილთა რეგისტრაციის დაწესებულებაში გავლა მოითხოვა.

ამდენად, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც განმცხადებელს თავისუფალი გადაადგილების უფლება აღკვეთილი ჰქონდა, დევნილთა რეგისტრაციის გასავლელად შეეძლო მხოლოდ წერილობითი მოთხოვნის წარდგენა, რის შემდეგაც მასთან სარეგისტრაციო ჯგუფის ადგილზე მისვლისა და რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება სამინისტროს ეკისრებოდა.

ცალსახაა, რომ სამინისტრომ ჯეროვნად არ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება, რის გამოც განმცხადებელს ზიანი მიადგა.

3.3. რეკომენდაცია დევნილის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე

9 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ზ.ხ.-ს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პრემიერ–მინისტრს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ

პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს.

დევნილი ზ.ხ. და დედამისი დამისამართებული იყვნენ ბიძის საცხოვრებელ მისამართზე, თუმცა, რეგისტრაციის მისამართი მათ ფაქტობრივ საცხოვრებელს არ წარმოადგენდა. განმცხადებლის ბიძას სახელმწიფომ დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, პირდაპირი მიყიდვის წესით, კერძო საკუთრებაში გადასცა მის სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართი. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს დაეკისრა ვალდებულება უზრუნველეყო ზ.ხ.-სა და დედის ცხოვრება მისთვის გადაცემულ ქონებაში. აღნიშნულის შესახებ განმცხადებელი ინფორმირებული არ ყოფილა. ამასთან, სახელმწიფოს მიერ ისინი ჩაითვალნენ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულად იმ პირობებში, როდესაც ისინი არ ცხოვრობენ აღნიშნულ ფართში.

დევნილებს აქვთ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და არჩევანის შესაძლებლობა და შეუძლიათ თანხმობა ან უარი განაცხადონ განსახლებასთან დაკავშირებულ შეთავაზებაზე, თუმცა ზ.ხ.-მ ვერ შეძლო აღნიშნული გარანტიებით სარგებლობა. ამავდროულად, მოცემულ საქმეში არასწორად იქნა იდენტიფიცირებული ოჯახის წევრთა რეალური შემადგენლობა. აღნიშნული გარემოებების გამო, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა დევნილის საცხოვრებლის უფლების დარღვევას.

3.4. პირდაპირი დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით

19 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს „ქობულეთის წყალს“ მიმართა რეკომენდაციით, რომლითაც დაადგინა, რომ მუსლიმი თემის რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა ხდება მისი საკუთრების უფლების შეზღუდვის გზით.

შპს „ქობულეთის წყალი“ თავს არიდებს წყალგაყვანილობის სამუშაოების შესრულებას მუსლიმი თემის მფლობელობაში არსებულ შენობაში, რათა თავიდან აიცილოს შენობაში მუსლიმური ბავშვთა სასწავლო პანსიონის გახსნის გამო ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მუსლიმ თემს ეზღუდება რელიგიის თავისუფლების სწავლების გზით რეალიზაციის შესაძლებლობა და დაადგინა, რომ ადგილი აქვს პირდაპირ დისკრიმინაციას რელიგიური მოტივით.

4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

4.5. დისკუსია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული ენის მდგომარეობის შესახებ

2 სექტემბერს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული ენის მდგომარეობის შესახებ მშვიდობის ფონდის ორგანიზებით გამართულ დისკუსიაზე, საქართველოს სახალხო დამცველის მთავარმა მრჩეველმა კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში მედეა ტურაშვილმა ისაუბრა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ქართული ენის, როგორც მშობლიური ენის სწავლების პრობლემებზე და იმ შეზღუდვებზე, რომელსაც დე ფაქტო ადმინისტრაცია უწესებს მოსწავლეებსა და აკადემიურ პერსონალს სასწავლო პროცესში.

მედეა ტურაშვილმა ხაზი გაუსვა რუსეთის ხელისუფლების პასუხისმგებლობას უფლებების დარღვევებზე და საქართველოს ხელისუფლების ვალდებულებას მაქსიმალურად შეამციროს ის ზიანი, რომელსაც განიცდის გალის რაიონის მოსახლეობა ქართული ენის აკრძალვის გამო.

4.6. შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს გაფართოებული სამუშაო შეხვედრა

6 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს მორიგი – მეშვიდე სხდომა გაიმართა.

სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავდა დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებას საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის შესახებ, ასევე მათი ჩართულობის უზრუნველყოფას მიმდინარე პროცესებში. სხდომაზე ისაუბრეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნით შესრულებულ/დაგეგმილ ღონისძიებებზე, მოისმინეს საბჭოს მოწვეულ წევრთა მოხსენებები საბჭოს

საქმიანობაში მათი მონაწილეობის შესახებ. დისკუსიის რეჟიმში განიხილეს შშმ პირთა უფლებრივ მდგომარეობასთან და გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.

4.7. ჟენევაში საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობა დადებითად შეფასდა

6-7 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ მონაწილეობა მიიღო „წამების პრევენციის ასოციაციის“ მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმში, რომელიც ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებს მიეძღვნა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის პრევენციის ეროვნული მექანიზმებისა და გაეროს წარმომადგენლები, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები; განიხილეს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი ფსიქოსოციალური შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით პრევენციის ეროვნული მექანიზმების მუშაობის მნიშვნელობა, მონიტორინგის განხორციელებისას არსებულ პრაქტიკულ გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.

ნიკა კვარაცხელიამ სიმპოზიუმის მონაწილეებს გააცნო საქართველოში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობის სპეციფიკა და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ძირითადი პრობლემური საკითხები. სიმპოზიუმის მონაწილეებმა საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სამუშაო მეთოდოლოგია დადებითად შეაფასეს.

4.8. თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) მონიტორინგი

13 და 30 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა თბილისის ტრეფიკინგის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების – თავშესაფრების მონიტორინგი განახორციელა, რომელსაც ადმინისტრირებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი უწევს.

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა თავშესაფრებში არსებული მდგომარეობის შეფასება, დარღვევების გამოვლენა, მათზე რეაგირება და რეკომენდაციების მომზადება. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა როგორც თავშესაფარში არსებული ფიზიკური გარემო, ისე კვების კუთხით არსებული მდგომარეობა და სერვისის მიწოდების ხარისხი. გამოიკითხა ბენეფიციარები და თავშესაფრის ადმინისტრაცია.

მონიტორინგის პირველადი შედეგები ცხადყოფს, რომ თავშესაფარში კეთილსაიმედო გარემოა შექმნილი როგორც ოჯახში ძალადობის, ისე ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის. მომსახურების მიმღები პირები პოზიტიურად აფასებენ მიწოდებულ სერვისსა და მათდამი მოპყრობას, თუმცა გამოვლინდა რიგი საკითხებისა, რაც საჭიროებს სერვისის დახვეწას.

თავშესაფარს არა აქვს ცალკე იურისტის შტატი და ბენეფიციარებს, საჭიროების შემთხვევაში, იურიდიულ დახმარებას უწევენ ცხელი ხაზის იურისტი, ან ფონდის ცენტრალური ოფისის სამართლებრივი დეპარტამენტის იურისტები. აგრეთვე, თავშესაფარში მოხვედრისას ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება ფორმალური ხასიათისაა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინფექციური დაავადებებისა და სხვა რისკების პრევენციის მიმართულებით გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

თავშესაფრის ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, შენობის პირველი სართული ნესტიანია, არ არის კონდიცირების სისტემა, აბაზანა ამორტიზებულია. თავშესაფრის სრული დატვირთვის შემთხვევაში სველი წერტილების რაოდენობა არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტს. ამასთან, მოსაწყობია ფიზიკური გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

4.9. შეხვედრა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჟურნალისტებთან

16 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის მთავარმა მრჩეველმა კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში მედეა ტურაშვილმა აღმოსავლეთ ევროპის 6 ქვეყნის: სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას, ბელორუსიის და ასევე გერმანიის ჟურნალისტებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობა და ფუნდამენტური უფლებების დარღვევების ფაქტები გააცნო. ხაზი გაუსვა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემთხვევებს; ასევე ისაუბრა ომბუდსმენის ინსტიტუტსა და მის საქმიანობაზე კონფლიქტებით დაზარალებული პირების უფლებების დაცვის კუთხით.

შეხვედრა ორგანიზებული იყო გერმანული გაზეთ Taz.de-ს მიერ, რომლის პროგრამის მიზანიც იყო ჟურნალისტებისთვის გაეცნო საქართველოში მიმდინარე მოვლენები და რეფორმები.

4.10. ადამიანის უფლებების მდგომარეობა სამეგრელოს-ზემო სვანეთის გამყოფი ხაზის სოფლებში

21 სექტემბერს, ზუგდიდში საქართველოს სახალხო დამცველმა ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სამეგრელოსა და აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მდგომარეობასა და უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალური ანგარიში წარუდგინა და სოფელების ხურჩის ფახულანისა და წყოუშის მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა განიხილა.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამყოფი ხაზის სოფლებში, სადაც მოსახლეობა მომეტებული რისკის ქვეშ იმყოფება, პოლიციის ზედამხედველობა არასაკმარისია და ამას ხურჩა-ნაბაკევის გამშვებ პუნქტზე 19 მაისს 22 წლის გ.ო.-ს მკვლელობის ფაქტიც ადასტურებს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული საქმე მხარეთა თანამშრომლობით, სწრაფად და ეფექტურად უნდა იქნას გამოძიებული და დამნაშავე პასუხისგებაში მიეცეს, რაც გააძლიერებს ადგილობრივების უსაფრთხოების განცდას და მხარეთა თანამშრომლობის მნიშვნელოვან პრეცედენტს შექმნის.

ხშირია უკანონო დაკავებები „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდებით; ხურჩას მოსახლეობას დღემდე არ მიუღია 1993-1998 და 2008 წლებში საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის სრულყოფილად ანაზღაურება. ფახულანსა და წყოუშში რუსმა მესაზღვრეებმა მავთულხლართები გააბეს, რის შედეგადაც რამდენიმე სახლი და საკარმიდამო ნაკვეთები არაკონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩა. ფახულანში პრობლემას ქმნის მდინარე ოლორზე სოფლის რამდენიმე უბნის დამაკავშირებელი ხიდის არარსებობა. ასევე, გასამაგრებელია მდინარის ნაპირები.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შესაბამის სტრუქტურებს კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებების დასაცავად და გამყოფი ხაზის სოფლების სოციალური ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად.

4.11. სახალხო დამცველმა დემურ სტურუას თვითმკვლელობამდე მიყვანაში ბრალდებული მოინახულა

21 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ქუთაისის N2 პენიტენციურ დაწესებულებაში დემურ სტურუას თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეში ბრალდებული გოდერძი თევზაძე მონახულა, რომელიც თავს დამნაშავედ არ სცნობს და შიმშილობას განაგრძობს. უჩა ნანუაშვილმა ბრალდებულს შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა.

4.12. ბავშვთა ომბუდსმენების ევროპული ქსელის ყოველწლიური კონფერენცია

20-22 სექტემბერს, ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში ბავშვთა ომბუდსმენების ევროპული ქსელის (ENOC) გენერალური ასამბლეის სხდომა და ყოველწლიური კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში, რომელიც ყველა ბავშვისათვის განათლების უფლების თანაბარი ხელმისაწვდომობის საკითხს მიეძღვნა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის თანამშრომლებმა თამარ ჩხოლარიამ და თამთა ბაბუნაშვილმა მიიღეს მონაწილეობა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა საქართველოში სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა, სისტემის მიღწევები თუ ხარვეზები განიხილეს და სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული მონიტორინგების, მიღებული შედეგებისა და გაცემული რეკომენდაციების შესახებ ისაუბრეს.

4.13. ერაყელ და სირიელ ლტოლვილებთან შეხვედრა სახალხო დამცველის ოფისში

26 სექტემბერს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის თანამშრომლები და ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიათა საბჭოების წევრები სახალხო დამცველის ოფისში უკრაინიდან, ერაყიდან და სირიიდან ლტოლვილებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე სტუმრებს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციები და ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობა, ასევე რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების მუშაობის წესი და საბჭოში გაწევრიანების პრინციპები გააცნეს. სტუმრებმა იმ სირთულეებზე ისაუბრეს, რასაც ლტოლვილები და თავშესაფრის სტატუსის მაძიებელი პირები აწყდებიან საქართველოში.

შეხვედრა ინიცირებული იყო საქართველოს გაეროს ასოციაციის „საქართველოში ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და თავშესაფრის მაძიებელთა დაცვის, ინტეგრაციისა და გაძლიერების პროგრამის" ფარგლებში, რომელსაც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი აფინანსებს.

4.14. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

22 სექტემბერს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მეშვიდე სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2016 წლის ზაფხულში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში წარმოადგინეს, განიხილეს პენიტენციურ დაწესებულებებში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის სამმართველოებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, გაეცნენ ინფორმაციას დაგეგმილი სხვადასხვა კვლევებისა თუ აქტივობების, მათ შორის, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს" მიერ დაფინანსებული პროექტის „ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა პენიტენციურ სისტემაში" მიმდინარეობის შესახებ.



პრევენციის ეროვნული მექანიზმის საბჭოს წევრებმა სახალხო დამცველს წარუდგინეს საკუთარი მოსაზრებები პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული აქტივობების, ანგარიშების, სამუშაო მეთოდოლოგიისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

4.15. მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი

27 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები გერმანიის ქალაქ დიუსელდორფისა და საბერძნეთის დედაქალაქ ათენის აეროპორტებში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან 39 საქართველოს მოქალაქის დეპორტაციის ერთობლივ პროცესს დაესწრნენ და მონიტორინგი განახორციელეს.

ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტოს ფრონტექსის (FRONTEX) კოორდინირებით მიმდინარე პროცესმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, თუმცა ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოს ესკორტის წევრ ექიმს წინასწარ არ მიაწოდეს სრულყოფილი ინფორმაცია ბორტზე არსებული ზოგიერთი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დიაგნოზის შესახებ, მითუმეტეს, რომ ერთ-ერთ დასაბრუნებელ პირს ფსიქიკური აშლილობის აშკარა ნიშნები აღენიშნებოდა.

აღსანიშნავია, რომ წინა მონიტორინგების მსგავსად, დეპორტირებულებისთვის რამდენიმე საათით ადრე ოჯახთან ტელეფონით სარგებლობა მხოლოდ სახალხო დამცველის წარმომადგენელთა ძალისხმევით შესძლეს.

4.16. სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლები ლაჰიჯების თემის წარმომადგენლებს შეხვდნენ

29 სექტემბერს სახალხო დამცველის ოფისისა და ტოლერანტობის ცენტრის თანამშრომლები კობა ჩოფლიანი და იზაბელა ოსიპოვა და ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი სორდია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორში მცხოვრები ლაჰიჯური თემის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

ლაჰიჯები საქართველოში მე-20 საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანიდან გადმოსახლდნენ და თავს ეროვნებით აზერბაიჯანელებად მიიჩნევენ. დღეისათვის გომბორში დაახლოებით 100-120 ლაჰიჯი ცხოვრობს. მათი მშობლიური ენა - ლაჰიჯური და მასთან ერთად ეთნიკური კულტურის მრავალი ელემენტი სავარაუდოდ დაკარგული აქვთ. იუნესკოს მონაცემებით, თათური ენა და შესაბამისად მისი ერთ-ერთი განშტოება ე.წ. ლაჰიჯური დიალექტი, მომაკვდავ ენათა ნუსხაშია შეტანილი.

შეხვედრა ორგანიზებული იყო საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და აშშ–ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული, საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის" პროგრამით (PITA).

სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები

4.17. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი „ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის" თემაზე

12-14 სექტემბერს, გუდაურში საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ფინანსური თანამონაწილეობით

ტრენინგი გამართა, სადაც განიხილეს ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო სამართლის პრინციპები და მექანიზმები, ასევე ეროვნული საკანონმდებლო ბაზა და პრაქტიკა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში. ტრენინგს საქართველოში აკრედიტირებული სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ბაკალავრის დამასრულებელი კურსისა და მაგისტრატურის 16 სტუდენტი დაესწრო.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლებმა ზუზანა კოვალოვამ და თორნიკე ცაგარეიშვილმა, ასევე სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელმა თამთა პაპუაშვილმა ტრენინგის მონაწილეებს გააცნეს ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო სისტემა, „ლტოლვილის" განმარტება კონვენციის მიხედვით, ლტოლვილთა დაცვის უნივერსალური პრინციპები და ცნებები, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, კონფიდენციალურობა, ოჯახის ერთიანობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, გამორიცხვის პრინციპი 1951 წლის კონვენციის მიხედვით, სტატუსის გაუქმება, შეწყვეტა და განახლება; ასევე საქართველოში თავშესაფრის სისტემისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, საერთაშორისო და ეროვნული პრეცედენტული სამართალი ლტოლვილთა შესახებ.

4.18. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის

19-23 სექტემბერს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ თბილისისა და რეგიონის უნივერსიტეტების ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და სამაგისტრო პროგრამის 15 სტუდენტისათვის ტრენინგი ჩაატარა თემაზე: „გენდერული საკითხების გაშუქება და ჟურნალისტური ეთიკა".

მონაწილეები გაეცნენ გენდერულად მგრძნობიარე საკითხების გაშუქების სტანდარტებს, გაიღრმავეს ცოდნა გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ.

ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები ზვიად ქორიძე და მონიკა ელენა, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ანა ლობჟანიძე. სახალხო დამცველის მოადგილემ ეკატერინე სხილაძემ სწავლების დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადასცა სერთიფიკატები.

ტრენინგი განხორციელდა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის მხარდაჭერა" ფარგლებში.

4.19. ტრენინგი სტუდენტებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმების შესახებ

23-24 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზებით თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლის, ჟურნალისტიკის და პედაგოგიკის ფაკულტეტის სტუდენტებს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმების შესახებ ტრენინგი ჩაუტარდათ.

სახალხო დამცველის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნიკო თათულაშვილმა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტმა გიორგი გოცირიძემ სტუდენტებთან სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები განიხილეს. ისაუბრეს აბსოლუტურ და შეფარდებით უფლებებზე, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებზე, თანასწორობის უფლების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე, სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციულ მანდატზე.

ღონისძიება ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის „კახეთის რეგიონში სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება“ ფარგლებში ჩატარდა.

5. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველო

5.1. შეხვედრები წინასაარჩევნო მზადების ფარგლებში

სახალხო დამცველის აპარატის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლები აქტიურად ჩაერთნენ ფონდი ღია საზოგადოება – საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე, სახალხო დამცველის პროექტში „ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების მონიტორინგი საარჩევნო პერიოდში“ და ათამდე შეხვედრა გამართეს საზოგადოების სხვადასხვა წრეების წარმომადგენლებთან ამ პროექტის მიზნებისა და ამოცანების ასევე, დარღვევების გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმების გასაცნობად.

14 სექტემბერს რეგიონული ოფისის თანამშრომლები ორგანიზაცია სამართლიანი არჩევნების ადგილობრივ კოორდინატორს თეონა გოგიშვილსა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარეს გიორგი სანტურიანს შეხვდნენ და პროექტის მსვლელობის პერიოდში თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

15 სექტემბერს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა მადონა ბასილაძემ პროექტის ფარგლებში იმერეთის 12 მუნიციპალიტეტში მობილური ჯგუფის მიერ მონიტორინგის განხორციელების შესახებ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის მიმდინარე შეხვედრაზე ისაუბრა.

მიმდინარე პროექტი სახალხო დამცველის წარმომადგენელმა თამთა ჩეჩელაშვილმა **20 სექტემბერს** საარჩევნო მედია ცენტრის პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო; **22 სექტემბერს** სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის, არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“, დემოკრატიის ჩართულობის ქსელის და საქართველოს რეგიონული მაუწყებელთა ასოციაციის ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე განიხილა; ასევე ქუთაისის დემოკრატიის სკოლაში საარჩევნო სუბიექტების და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზეც წარმოადგინა და ცხელი ხაზის შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია.

22 სექტემბერს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს ოფისს უთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) სადამკვირვებლო მისია ესტუმრა. შეხვედრისას სამმართველოს უფროსმა მადონა ბასილაძემ სადამკვირვებლო მისის წევრებს სახალხო დამცველის მანდატი გააცნო და საარჩევნო პერიოდში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების მონიტორინგის და მიმდინარე პროექტის შესახებ ისაუბრა.

5.2. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები ბავშვებთან მიმართებით

15 სექტემბერს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა მადონა ბასილაძემ გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ორგანიზებულ საჯარო დისკუსიაში განიხილა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ, ასევე მოწმე და დაზარალებულ ბავშვებთან მიმართებაში. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ცალკეულ მოწყვლად ჯგუფებზე. აგრეთვე ისაუბრა რეგიონებში არსებული პრობლემებზე, რისკებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებაზე.

5.3. შეხვედრა მოსწავლეებთან

22 სექტემბერს იმერეთის რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსი მადონა ბასილაძე World Vision Georgia–ს იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამის ფარგლებში, ბავშვთა დაცვის ჯგუფის წევრებთან ერთად ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როხის საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა და ესაუბრა ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებსა და სახეებზე. ასევე, ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით სახალხო დამცველის აპარატის როლზე და საქმიანობაზე.

გურიის ოფისი

საარჩევნო მონიტორინგის პროექტის პოპულარიზებაში გურიის ოფისიც ჩაერთო და **2 სექტემბერს** ანა გახოკიძემ და მაკა მალაყმაძემ დაბა ლაითურის მოსახლეობას სახალხო დამცველის მანდატი, მიმდინარე საარჩევნო მონიტორინგის პროექტი და აპარატში მოქმედი ცხელი ხაზის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდეს.

9 სექტემბერს კი პროექტის შესახებ ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, საარჩევნო მედიაცენტრის პროექტის ფარგლებში, ჟურნალისტებთან და იმ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ისაუბრეს, რომლებიც საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობას დააკვირდებიან.

5.4. შეხვედრა მოსახლეობასთან

11 სექტემბერს სახალხო დამცველის გურიის ოფისის თანამშრომელი ანა გახოკიძე და საკონტაქტო პირი მაკა მალაყმაძე სოფელ მერიის ტერიტორიაზე არსებული საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდნენ და მათ პრობლემებს გაეცნენ. შეხვედრამ ცხადყო, რომ სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად, მოსახლეობის ძირითადად უკმაყოფილებას არასათანადო საცხოვრებელი პირობები იწვევს.

ქვემო ქართლის მარნეულის ოფისში

5.5. შეხვედრა გაეროს ბავშვთა ფონდთან

29 სექტემბერს, გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის ქვემო ქართლის მარნეულის ოფისში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები სოციალური მომსახურების სააგენტოს მარნეულის რაიონული განყოფილების სოციალურ მუშაკებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანი იყო სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის ქვემო ქართლის ოფისის გაძლიერება ბავშვთა უფლებების დაცვისა და ამ სფეროში არსებული ახალი სახელმწიფო რეგულაციების გაცნობა.

6. წარმატებული საქმეები

6.1. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ოჯახში ძალადობის საკითხზე სახალხო დამცველის წინადადება შეასრულა

1 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მისი წინადადების შესაბამისად, დაიწყო გამოძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის მიმართ განხორციელებული ოჯახში ძალადობის ფაქტზე, ც.წ. იქნა ცნობილი დაზარალებულად და გატარდა მისი ჯანმრთელობის დაცვისათვის შესაბამისი ღონისძიებები.

ც.წ. ძმის მხრიდან წლების განმავლობაში განიცდიდა ფიზიკურ და ეკონომიკურ ძალადობასა და უგულებელყოფას. ც.წ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ესაჭიროებოდა სპეციფიკური მკურნალობის კურსი და სტაციონირება, თუმცა ვინაიდან მოძალადე სარგებლობდა მისი პენსიით, არ სურდა შესაბამისი საჭიროებების დაკმაყოფილება.

საკითხის შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ინფორმაცია გამოითხოვა სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებიდან. სოციალური მომსახურების სააგენტომ დაადასტურა ძალადობის ფაქტი, ხოლო სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებმა ძალადობის იდენტიფიცირება ვერ შესძლეს.

პოლიციის ორგანოსთვის ძალადობის არარსებობის დასადგენად საკმარისი აღმოჩნდა სავარაუდო მოძალადესთან გასაუბრება, რომელმაც, რა თქმა უნდა, ძალადობის ფაქტი უარყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ყურადღების მიღმა დარჩა მეზობლების ინფორმაცია, თავად მსხვერპლის პოზიცია და მის სხეულზე არსებული დაზიანებები. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ მიუთითა სამართალდამცავთა უნარ-ჩვევების ამაღლების საჭიროებაზე შშმ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტის დასადგენად.

6.2. საქართველოს სახალხო დამცველის ძალისხმევით მოქალაქეს დაკავებული ავტომანქანა დაუბრუნეს

საქართველოს სახალხო დამცველის ძალისხმევითა და მოპოვებული მასალების შედეგად, **6 სექტემბერს,** ავტომანქანის საიდენტიფიკაციო ნომრის შესაძლო გაყალბების ფაქტზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიზეზით გამოძიება შეწყდა და სატრანსპორტო საშუალება თავის კეთილსინდისიერ შემძენს დაუბრუნდა.

გამოძება მიმდინარეობდა ი.ნ.-ს. მიერ 2005 წელს შეძენილ ავტომანქანაზე საიდენტიფიკაციო ნომრის შესაძლო გაყალბების ფაქტზე. მოქალაქე აცხადებდა, რომ მას ავტომანქანისთვის საიდენტიფიკაციო ნომერი არ შეუცვლია.

2016 წლის 18 ივნისს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან საქართველოს სახალხო დამცველს წერილობით აცნობეს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება ვერ შეწყდებოდა, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის ზუსტი თარიღი და დანაშაულის ჩამდენი პირი დადგენილი არ იყო.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა განმცხადებლის ავტომანქანის რეგისტრაციის სრული დოკუმენტაციის ასლები. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო მონაცემთა ელექტრონული ბაზისა და სატრანსპორტო საშუალების სააღრიცხვო ბარათის თანახმად, განმცხადებლის ავტომანქანა 2005 წლის 5 აპრილის მდგომარეობით განმცხადებლის სახელზე რეგისტრირებულია დღემდე არსებული საიდენტიფიკაციო ნომრით.

7. მნიშვნელოვანი თარიღები

7.1. ყურბან-ბაირამის დღესასწაული

12 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა მუსლიმ თანამოქალაქეებს ყურბან–ბაირამის დღესასწაულის დაიწყება მიულოცა და მშვიდობა და ბედნიერება უსურვა.

ყურბან-ბაირამის არსი ადამიანის მსხვერპლად შეწირვის აკრძალვასთან არის დაკავშირებული, იგი ასევე ქველმოქმედების იდეისა და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის ზეიმიცაა.

7.2. მშვიდობის საერთაშორისო დღე

21 სექტემბერს მშვიდობის საერთაშორისო დღეა და ის ხალხთა შორის მშვიდობის იდეის გაძლიერებას და გავრცელებას ემსახურება. 2016 წლის მშვიდობის დღის თემა იყო „მდგრადი განვითარების მიზნები: მშვიდობის მშენებლობის საწინდარი“.

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში მოსახლეობის უფლებების დაცვა წარმოადგენს; კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების უფლებების დაცვა კი კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა.

სახალხო დამცველმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა გამოიყენოს სრული ძალისხმევა, რათა დაიცვას გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის უფლებები.

7.3. 28 სექტემბერი ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღეა

28 სექტემბერი ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღეა. ეს თარიღი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლებაზე მომუშავე ორგანიზაციებმა დააწესეს და 2002 წლიდან აღინიშნება.

ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობა საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური მოხსენების ნაწილია. 2015 წლის ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა: **პარლამენტს,** მიიღოს ცვლილებები, რომლითაც ხელმისაწვდომი გახდება საჯარო დაწესებულებებში დაცული, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე, ყოფილი და მოქმედი თანამდებობის პირებისა და თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.

ასევე, **მთავრობას,** დროულად მოახდინოს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ახალი კანონის პროექტის ინიცირება; და **საგარეო საქმეთა სამინისტროს** – განახორციელოს სათანადო ღონისძიებები ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ კონვენციის“ რატიფიკაციისათვის საჭირო პროცედურების დასაწყებად. აღნიშნული რეკომენდაციები ამ დრომდე შეუსრულებელი რჩება.

8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

8.1. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ანგარიში საქართველოში არსებული წინასაარჩევნო გარემოს შესახებ

15 სექტემბერს საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI) გრძელვადიანი საარჩევნო დამკვირვებლების ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც საქართველოში არსებული წინასაარჩევნო გარემოა მიმოხილული.

ანგარიშის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანიის გარემო პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეაფასეს, როგორც მშვიდი და მიზანმიმართული, განსაკუთრებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, თუმცა, კვლავ ისმის ბრალდებები ადგილობრივი

თვითმმართველობებში არჩეული თანამდებობის პირების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ პარტიულ სიებში ქალთა მეტ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ინიციატივების მიუხედავად, მაჟორიტარ კანდიდატებად და პარტიულ სიებში ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილი.

ანგარიშის თანახმად, საარჩევნო საზღვრების ხელმეორედ განსაზღვრა მნიშვნელოვანი ნაბიჯია საარჩევნო ოლქების ამომრჩეველთა რაოდენობის გათანაბრებაში, თუმცა რჩება ვარაუდი, რომ ახალი საზღვრების გამო შესაძლოა, ეთნიკური უმცირესობების ხმები დაიკარგოს. ამასთან, მიუხედავად არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით გაწეული მუშაობისა, ისინი არ არიან წარმოდგენილი საარჩევნო ადმინისტრაციებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, IRI-ის დამკვირვებლები ანგარიშში გამოჰყოფენ შემდეგ ძირითად მიგნებებს:

„საუბნო საარჩევნო კომისიებში შერჩეულ წევრთა უმრავლესობა ქალია, ბევრი ახალგაზრდა მიმართავს კომისიებს მუშაობის დასაწყებად; ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისია ძალიან ახლოს მივიდა საარჩევნო კოდექსის დარღვევასთან, საარჩევნო კომისიის თანამშრომლების შერჩევისას; ბლოკ სახელმწიფო ხალხისათვის და გაერთიანებული ოპოზიციური სუბიექტებისთვის საარჩევნო ნომრების ადრეულმა მინიჭებამ მათ უპირატესობა მიანიჭა საარჩევნო კამპანიაში, რამაც საარჩევნი სუბიექტები არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა; ქვეყანაში პრორუსული პარტიები კვლავ სუსტია, მაგრამ მათ მაინც მიიღეს გარკვეული მხარდაჭერა, მიუხედავად ანტიდასავლური განწყობისა მკვეთრად პროდასავლურ გარემოში; ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა შშმ პირებისთვის საარჩევნო უბნების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის; საარჩევნო სიების დაზუსტება დიდწილად წარმატებული იყო, თუმცა, ზოგიერთ ამომრჩეველს კვლავ არ აქვს ბიომეტრიული პირადობის მოწმობა“.

ანგარიშში მედიაგარემო დიდწილად აღქმულია სამართლიანად და დაბალანსებულად.

IRI-ის ანგარიში მოიცავს საერთაშორისო რეს-პუბლიკური ინსტიტუტის გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის მიერ, 1–დან 25 აგვისტომდე ჩატარებული მონოტორინგის პერიოდში გამოვლენილ ძირითად მიგნებებს და რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია გაზარდოს საზოგადოების ნდობა საარჩევნო პროცესისადმი.

9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

9.1. ახალი თანამშრომლები

1 სექტემბრიდან სახალხო დამცველის აპარატში ბავშვის უფლებათა ცენტრის პროექტის მონიტორის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო ქეთევან სოხაძემ.

რეგიონული დეპარტამენტის სამეგრელო ზემო-სვანეთის სამმართველოს მთავარ სპეციალისტად თამთა ალანია შეირჩა.

15 სექტემბრიდან სახალხო დამცველის მრჩეველად საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში დაინიშნა თათია ლომთაძე.

9.2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული მონიტორინგი

სექტემბერში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა დაგეგმა და განახორციელა 22 ვიზიტი პენიტენციური დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებებში (აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე), სადაც მოინახულეს 100 პატიმარი. პენიტენციურ დაწესებულებში განხორციელებული ვიზიტები სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებისა და შეტყობინებების საფუძველზე დაიგეგმა.

პატიმრების მონახულების დროს დაფიქსირებული საკითხების თაობაზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა განახორციელა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება და მიმართა სახელმწიფო ორგანოებს პატიმართა უფლებების სავარაუდო დარღვევების შესახებ.

9.3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული მონიტორინგი

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა სექტემბერში მონიტორინგი განახორციელეს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის სამმართველოებში.

ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს სამმართველოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული ფიზიკური გარემო, გაეს-საუბრნენ პოლიციისა და იზოლატორების თანამშრომლებს, დაკავებულ პირებს, შეამოწმეს დაკავებულ პირთა საქმეებში არსებული დოკუმენტაცია; გაარკვიეს ხდება თუ არა ოჯახის ინფორმირება პირის დაკავების შემდგომ, რამდენად ხელმისაწვდომია ადვოკატი და ექიმი, გამოკითხეს პოლიციის თანამშრომლები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცედურის შესახებ.

9.4. მომართვიანობის სტატისტიკა

სექტემბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 763 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 619 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი - 2
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 60
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი - 274
- რეგიონული სამმართველო - 177
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი - 29
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი - 13
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 21
- ანალიტიკური დეპარტამენტი - 9
- თანასწორობის დეპარტამენტი - 32
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი - 2



სექტემბრის თვეში შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა - 1
- შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება - 6
- საარჩევნო უფლება - 1
- გამოხატვის უფლება - 1
- ინფორმაციის მიღების უფლება - 51
- დისკრიმინაცია - 16
- გადაადგილების თავისუფლება - 1
- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის გაჭიანურება - 3
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება - 5
- ხანდაზმულთა უფლებები - 1
- მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის მქონე პირთა უფლებები - 2
- დევნილთა უფლებები - 10
- სოციალური დახმარებს საკითხი - 16
- შრომითი უფლებები - 5
- საკუთრების უფლება - 7
- უფლება სათანადო საცხოვრისზე - 15
- პატიმრობების პირობები - 160
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა - 52
- წამება და არასათანადო მოპყრობა - 23
- ბავშვის უფლებები - 25
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები - 13
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები - 10
- სხვადასხვა - 339



კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ოზურგეთი:
დავით აღმაშენებლის 9
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის 4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ.: 577 12 27 70;
591 96 88 82

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ.: 0415 22 36 11
მობ.: 595 52 53 56

ბათუმი:
მაზნიაშვილის 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 595 80 78 43

მარნეული:
რუსთაველის 51
ტელ.: 0357 22 19 70
მობ.: 595 52 53 57

გორი:
სამების N1
ტელ.: 0370 27 05 49
მობ.: 551 66 14 77

ქუთაისი:
რუსთაველის 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

თელავი:
ჩოლოყაშვილის 3
მობ.: 591 88 35 38
ტელ.: 0350 27 99 27

ცხელი ხაზი – 1481

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ნიკო თათულაშვილი
ლევან მესხორაძე